საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003920

„ 16 " აგვისტო 2024 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჭვეუნებო დანესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი ვ. ნიდარაძის I ჯს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: „ჯს II ქიმონელისი" (ს/ს 416328101)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურ. მის: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, მარტყოფი, სოფ. ვაზიანი. გენ. დირექტორი
პირადობის/მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
, მინისტრის 2021 წლის 18 იანვრის №2-64 ბრძანებით გაცემული
გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (დასკვნა №41; 03.07.2017)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №003920
აღმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №01390 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 12 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანაროების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის ჯერიჯნის პირველი

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ნაწილის შესაბამისად და ამავე კოდექსის 79[7] მუხლის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვით ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

უფროსის მოადგილე-მოსამართლე სახელმწიფო ინსპექტორი თეი კოტეტიშვილი

თანამდებობის პირის ხელმოწერა: თ. კოტეტიშვილი

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 16 აგვისტოს №003920 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 20 ივნისის №DES 4 23 00000207 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა შპს „ქიმინვესტი"-ს (ს/ნ 416328101) კუთვნილ ქიმიური ნივთიერებების წარმოებაზე (ტექნიკური მარილიდან ქლორის, ნატრიუმის და მათი შემცველი პროდუქტების წარმოება), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 18 იანვრის №2-64 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2017 წლის 3 ივლისის №41 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2017 წლის 3 ივლისის №41 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობის** შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს საქმიანობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, შემარბილებელი ღონისძიებების, ავარიული სიტუაციების, პრევენციული ღონისძიებების, ვალდებულებების და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:

   1.1. საწარმოს არ გააჩნია გზშ ანგარიშში მითითებული გაზოანალიზატორი "ALTAIR 2X", რომელიც გამოსცემს ხმოვან, ვიზუალურ და ვიბრო სიგნალებს ქლორის დასაშვებზე მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში, რის შემდეგაც ავტომატურად უნდა დარეგულირდეს ქლორის დამატებითი მიწოდება კონტეინერიდან კოლონაში;

   1.2. საწარმოში დაყრილია სხვადასხვა ტიპის ნარჩენები, მათ შორის საღებავებით დაბინძურებული ნარჩენები (ქაღალდის, პლასტმასის, ლითონის, სხვადასხვა ქიმიკატებით და საღებავებით დაბინძურებული კასრები და შუშის ჭურჭლის ნარჩენები). კომპანიის მიერ არ არის დანერგილი სეპარირებული შეგროვების სისტემა, შესაბამისად არ ხორციელდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტერიტორიაზე არ არის განთავსებული ნარჩენებისათვის განკუთვნილი ურნები, საწარმოში არსებული სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები განთავსებულია ქაოტურად. ასევე დადგინდა, რომ არ არის მოწყობილი ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების განთავსებისათვის სპეციალური მოედნები, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბეტონის საფარით, გამდინარე წყლით და ჩამდინარე წყლების მიმღები ტრაპით. ინსპექტირებისას, მობეტონებულ ტერიტორიაზე, შეინიშნებოდა საღებავების დაღვრის კვალი. ტერიტორიაზე განთავსებულია 3 ცალი რკინის თავღია 200 ლიტრიანი კასრი, რომელშიც განთავსებულია სხვადასხვა სახის ნარჩენები, ასევე, დაფიქსირდა რკინის გადაჭრილი კასრი, რომელშიც განთავსებულია რკინაბამბის, მინის და სხვადასხვა ტიპის ნარჩენები;

1.3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, ელექტროლიზის დარბაზში გათვალისწინებულია შესაბამისი შემკრები სისტემა (მოცულობა) დაქცეული ვერცხლისწყლის შესაკრებად. თუმცა, ინსპექტირებით დადგინდა, რომ უბანი არ არის აღჭურვილი შემკრები სისტემით რომელიც უზრუნველყოფს დაღვრილი ვერცხლისწყლის შეკრებას;

1.4. ელექტროლიზის დანადგარები არ არის აღჭურვილი სიგნალიზაციის და კონტროლის მოწყობილობებით. მარილხსნარის რეზერვუარი არ არის აღჭურვილი დონის მზომით, ასევე არ არის მოწყობილი ხმოვანი სიგნალიზაცია, რომელიც უნდა ჩაირთოს დენის შეწყვეტის შემთხვევაში;

1.5. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, საწარმოში არ არის დაცული კომპანიის მიერ შემუშავებული ქლორის და მისი თანმდევი პროდუქტების წარმოებისა და შენახვის წესები, რომელთა შესრულება აუცილებელია ქლორის და თანმდევი პროდუქტების წარმოების დროს. კერძოდ:

1.5.1 არ აქვს შემუშავებული ავარიული სიტუაციების აღმოფხვრის გეგმა და ავარიულ სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქციები, რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს კომპანიის მიერ;

1.5.2 საწარმოში მომუშავე პერსონალს არ აქვს გავლილი ინსტრუქტაჟი ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით;

1.5.3 ელექტროლიზის დარბაზში არ არის გათვალისწინებული მოწყობილობა/დანადგარების ანტიკოროზიული დაცვა;

1.5.4 ელექტროლიზის დარბაზში არ არის გათვალისწინებული შემკრები სისტემა, დაღვრილი ვერცხლისწყლის შესაკრებად;

1.5.5 ჩამდინარე წყლებში არ მოწმდება ვერცხლისწყლის შემცველობა

1.5.6 ელექტროლიზის დარბაზში არ არის დამონტაჟებული ჰაერში ვერცხლისწყლისა და წყალბადის ინდიკატორები, რომლებმაც უნდა გამოსცენ ხმოვანი საგანგაშო სიგნალები;

1.6. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს შენობის გარეთ, შენობის კედლის მიჯნაზე, მოწყობილია რკინის საჩარხი დანადგარი, სადაც ასევე დაფიქსირდა სხვადასხვა სახის ნარჩენების დაყრის ფაქტი. ასევე, აღნიშნული საჩარხი დანადგარი არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში;

1.7. საწარმოში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო მეურნობა არ არის სრულყოფილი, არ დაფიქსირდა ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები და გზშ ანგარიშით გათვალისწინებული ინვენტარი;

1.8. საწარმო არ არის აღჭურვილი მეხამრიდებით;

1.9. კომპანია არ უზრუნველყოფს გაფრქვევების პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოებას;

1.10. კომპანიას არ გააჩნია ხელშეკრულება, ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან, რომლის საფუძველზეც ახორციელებს საყოფაცხოვრებო და მუნიციპალური ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა/განთავსებას;

1.11. კომპანიას არ გააჩნია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების პროექტი;

1.12. საწარმოს არ გააჩნია ავარიული სიტუაციების აღმოფხვრის გეგმა;

1.13. კომპანია ყოველწლიურად არ ახორციელებს საწარმოში მომუშავე პერსონალის სწავლებას ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების საკითხებზე, ასევე პერსონალის ინსტრუქტაჟს და სწავლებას პროფესიული უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით საკითხებზე;

1.14. კომპანიას არ გააჩნია საწარმოს ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგების და ელექტრომომარაგების უსაფრთხოების, ასევ კონკრეტული პირობებისათვის განსაზღვრული ღონისძიებების შესახებ დოკუმენტი;

1.15. კომპანია, წელიწადში ერთხელ, არ უზრუნველყოფს საწარმოში დასაქმებული პერსონალის ნარჩენების მართვის საკითხებზე პერიოდულ სწავლებას და ტესტირებას;

1.16. ვერ იქნა წარმოდგენილი მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი პირადი დაცვის საშუალებების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

1.17. საწარმოში არ ხორციელდება წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების, დაგროვილი და გატანილი ნარჩენების მოცულობის აღიცხვა;

1.18. კომპანიას არ გააჩნია შემუშავებული და დამტკიცებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა, გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური ან იურიდიული პირების მითითებით;

1.19. შპს „ქიმინვესტი"-ს არ გააჩნია საწარმოს ან მისი ცალკეული უბნების დროებითი გაჩერების ან შეკეთების (მიმდინარე და კაპიტალური) შემთხვევაში შემუშავებული საქმიანობის დროებით შეჩერებასთან ან შეკეთებასთან დაკავშირებული ოპერატიული გეგმა, რომელიც პირველ რიგში უნდა მოიცავდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს და შეთანხმებული უნდა იყოს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირთან;

1.20. შპს „ქიმინვესტი"-ს არ გააჩნია საწარმოს ან მისი ცალკეული უბნების ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის შემთხვევაში, ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის გეგმა, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს უფლებამოსილ ორგანოებთან;

1.21. კომპანიას არ გააჩნია შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედი „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი";

2. 2017 წლის 3 ივლისის №41 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-2 პირობის** შესაბამისად, საწარმომ ექსპლუატაციაში შესვლისთანავე არ აცნობა სამინისტროს;

3. 2017 წლის 3 ივლისის №41 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-5 პირობის** შესაბამისად, შპს „ქიმინვესტი"-ს სამინისტროსთან არ აქვს შეთანხმებული, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.

ამასთან, განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიას არ აქვს შესრულებული გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმები. კერძოდ:

1. შპს „ქიმინვესტი" ახორციელებს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დანართით, ასევე „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის №5 დანართით გათვალისწინებული საქმიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია ვალდებული იყო დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის უწყვეტი წარმოების მიზნით, საწარმოს გაფრქვევის ორგანიზებულ წყაროზე, დაემონტაჟებინა გამზომი ხელსაწყოები/სინჯის ამღები და

ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირების მიზნით, მიემართა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის, რაც შპს „ქიმინვესტი"-ს მიერ არ იქნა შესრულებული;

2. საწარმოო შენობის უკან, მოწყობილია 50მ^3 მოცულობის ბეტონიზირებული ავზი, თუმცა აღნიშნული ავზის შესახებ ინფორმაცია არ არის ასახული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში. ასევე დადგინდა, რომ ამავე ავზის მიმდებარედ განთავსებულია მიწისქვეშა რკინის ავზები (თითოეულის მოცულობა 12 მ^3), რომელშიც თავსდება საღებავებით დაბინძურებული წყლები, საიდანაც შემდგომ საქაჩის საშუალებით, რეზინის მილებით, სითხე გადაიქაჩება დისტილაციის საამქროში, მისი წყლისგან გამოცალკევების მიზნით, თუმცა აღნიშნული რეზერვუარები ასევე არ არის განხილული გზშ ანგარიშში;

3. საწარმოში განთავსებულია ვერცხლისწყლის შემცველი თერმომეტრები, რომლებიც შემოდის შპს „მედიკალ ტექნოლოგი"-დან და ადგილზე განთავსებული თერმომეტრებიდან ვერცხლისწყლის გამოცალკევების შემთხვევაში მისი ოდენობა იქნება დაახლოებით 30 კგ. თერმომეტრიდან ვერცხლისწყლის გამოცალკევება ხდება მუშა მომსახურე პერსონალის მიერ ხელით. კერძოდ, ხდება თერმომეტრის გატეხვა მისგან ვერცხლისწყლის გამოდინება და სათლში დაგროვება, ადგილზე ასევე მოწყობილია ლაბორატორია, რომელშიც დაფიქსირდა თერმომეტრიდან გამოცლილი ვერცხლისწყალი (დაახლოებით 25კგ), რომელიც არ ინახება სპეციალურ რეზერვუარში, მოთავსებულია რკინის სათალში და არ გააჩნია ჰერმეტული თავსახური, თუმცა გზშ ანგარიშში არ არის განხილული საწარმოში ვერცხლისწყლის შემოტანა და მისი მართვა;

4. გზშ ანგარიშში არ არის განხილული საწარმოს შენობის მიჯნაზე განთავსებული საჩარხი დანადგარის ექსპლუატაციის საკითხი.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2023 წლის 28 ივლისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, 82^2 მუხლის პირველი ნაწილის, 76^1 მუხლის პირველი ნაწილისა და 79^7 პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „ქიმინვესტი"-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №084126 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2023 წლის 23 ოქტომბრის №4-672-23 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილით, 79^8 მუხლის პირველი ნაწილით, 76^1 მუხლის პირველი ნაწილით და 82^2 მუხლის პირველი ნაწილით, გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა - ჯარიმა 10 000 ლარი. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

2024 წლის 16 აგვისტოს №003920 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ქიმინვესტი"-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 16 აგვისტოს №003920 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2024 წლის 16 აგვისტოს №003920 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ქიმინვესტი“-ს (ს/ნ 416328101) კუთვნილი, ქიმიური ნივთიერებების წარმოებაზე (ტექნიკური მარილიდან ქლორის, ნატრიუმის და მათი შემცველი პროდუქტების წარმოება), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 18 იანვრის №2-64 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2017 წლის 3 ივლისის №41 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ქიმინვესტი“ ვალდებულია:**.

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, მუდმივად უზრუნველყოს** საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, შემარბილებელი ღონისძიებების, ავარიული სიტუაციების, პრევენციული ღონისძიებების ვალდებულებების და რეკომენდაციების შესაბამისად. (2017 წლის 3 ივლისის №41 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობა**). მათ შორის:

   1.1 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს საწარმოში გზშ ანგარიშში მითითებული “ALTAIR 2X” გაზანალიზატორის მოწყობა/დამონტაჟება, რომელიც გამოსცემს ხმოვან, ვიზუალურ და ვიბრო-სიგნალებს ქლორის დასაშვებზე მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში;

   1.2 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოში დაყრილი სხვადასხვა ტიპის (სახიფათო და არასახიფათო) ნარჩენებისგან (ქაღალდის, პლასტმასის, ლითონის, სხვადასხვა ქიმიკატებით და საღებავებით დაბინძურებული კასრები და შუშის ჭურჭლის ნარჩენები), მათ შორის საღებავებით დაბინძურებული და რკინის საჩარხ დანადგართან დაყრილი ნარჩენებისგან ტერიტორიის გასუფთავება, ხოლო მათი შემდგომი მართვა უზრუნველყოს ნარჩენების მართვის კოდექსითა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ნორმატიული აქტების შესაბამისად;

   1.3 **საქმიანობის განახლებამდე,** ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მიზნით, უზრუნველყოს საწარმოს აღჭურვა, სათანადო რაოდენობის, შესაბამისი მარკირების მქონე, ჰერმეტულსახურავიანი კონტეინერებით;

   1.4 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების განთავსებისათვის სპეციალური მოედნების მოწყობა, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბეტონის საფარით, გამდინარე წყლით და ჩამდინარე წყლების მიმღები ტრაპით, გზშ ანგარიშის შესაბამისად;

   1.5 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს ელექტროლიზის დარბაზში შემკრები სისტემის (მოცულობის) მოწყობა, დაღვრილი ვერცხლისწყლის შესაკრებად, გზშ ანგარიშის შესაბამისად;

   1.6 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს ელექტროლიზის დანადგარების აღჭურვა სიგნალიზაციით და კონტროლის მოწყობილობებით, გზშ ანგარიშის შესაბამისად;

   1.7 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს მარილხსნარის რეზერვუარის აღჭურვა დონის მზომით, გზშ ანგარიშის შესაბამისად;

   1.8 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს, ხმოვანი სიგნალიზაციის მოწყობა, რომელიც უნდა ჩაირთოს დენის შეწყვეტის შემთხვევაში, გზშ ანგარიშის შესაბამისად;

1.9 უზრუნველყოს ქლორის და მისი თანმდევი პროდუქტების წარმოებისა და შენახვის წესების დაცვა, რომელთა შესრულება სავალდებულოა ქლორის და თანმდევი პროდუქტების წარმოების დროს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ:

1.9.1 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს ავარიული სიტუაციების აღმოფხვრის გეგმის და ავარიულ სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქციების შემუშავება, რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს კომპანიის უფლებამოსილი პირის მიერ. **შემდგომში, მუდმივად** უზრუნველყოს მათი შესრულება;

1.9.2 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს საწარმოში მომუშავე პერსონალის ინსტრუქტაჟი/სწავლება/ტესტირება, საწარმოს ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების, ასევე გარემოსდაცვით და ნარჩენების მართვის საკითხებზე, ხოლო **საქმიანობის განახლების შემდგომ, რეგულარულად, წელიწადში ერთხელ,** ჩაატაროს აღნიშნული ინსტრუქტაჟი/სწავლება/ტესტირება;

1.9.3 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს ელექტროლიზის დარბაზში გათვალისწინებული მოწყობილობა/დანადგარების ანტიკოროზიული დაცვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.9.4 **საქმიანობის განახლებიდან დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** ჩამდინარე წყლებში ვერცხლისწყლის განსაზღვრა, რათა გამოირიცხოს კანალიზაციაში მისი მოხვედრა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.9.5 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს ელექტროლიზის დარბაზში, ჰაერში ვერცხლისწყლისა და წყალბადის ინდიკატორების დამონტაჟება, რომლებმაც უნდა გამოსცენ ხმოვანი საგანგაშო სიგნალები, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.10 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს საწარმოში ხანძარსაწინააღმდეგო მეურნეობის (მოწყობილობები, ინვენტარი, ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები) მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.11 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს საწარმოს აღჭურვა მეხამრიდებით;

1.12 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, **საქმიანობის განხორციელების პროცესში, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და პერიოდულობით, მუდმივად** უზრუნველყოს გაფრქვევების პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის (პად ფორმები) წარმოება;

1.13 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება, ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან, რომლის საფუძველზეც განხორციელდება საყოფაცხოვრებო და მუნიციპალური ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა/განთავსება;

1.14 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების პროექტის, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება. შემდგომში, **მუდმივად** უზრუნველყოს შეთანხმებული პირობების დაცვა;

1.15 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს საწარმოს ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგების და ელექტრომომარაგების უსაფრთხოების საერთო დანიშნულების, აგრეთვე კონკრეტული პირობებისათვის განსაზღვრული ღონისძიებების შესახებ დოკუმენტის შემუშავება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად. შემდგომში მუდმივად უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;

1.16 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს მომსახურე პერსონალისთვის პირადი დაცვის საშუალებების შეძენა;

1.17 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს, ტერიტორიაზე დაგროვილი, წარმოქმნილი და გატანილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების აღრიცხვა;

1.18 **საქმიანობის განახლებამდე** შეიმუშაოს და დაამტკიცოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა, გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური ან იურიდიული პირების მითითებით. **შემდგომში მუდივად** უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;

1.19 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საქმიანობის დროებით შეჩერებასთან ან შეკეთებასთან დაკავშირებული ოპერატიული გეგმის შემუშავება, რომელიც პირველ რიგში უნდა მოიცავდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს და ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირთან შესათანხმებლად წარდგენა. **შემდგომში** უზრუნველყოს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;

1.20 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოს ან მისი ცალკეული უბნების ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის შემთხვევაში, ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის გეგმის შემუშავება და უფლებამოსილ ორგანოებთან, შესათანხმებლად წარდგენა. **შემდგომში** უზრუნველყოს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;

1.21 **საქმიანობის განახლებამდე** უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შესათანხმებლად წარდგენა. **შემდგომში მუდმივად უზრუნველყოს** ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით დადგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანების შესაბამისად, უზრუნველყოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენა, **ხოლო შეთანხმების შემდგომ** ნარჩენების მართვა განახორციელოს შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად (2017 წლის 3 ივლისის №41 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-5 პირობა).

ვინაიდან, შპს „ქიმინვესტი"-ს ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობების შეცვლის ფაქტი, რომელიც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, **შპს „ქიმინვესტი" ვალდებულია საქმიანობის განახლებამდე,** ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ცვლილებების გათვალისწინებით (იხ. მიწერილობის დანართი №1), მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების გავლის მიზნით.

ნ. ...